ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 118

ქ. თბილისი 09 სექტემბერი 2022 წელი

ერთის მხრივ, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი (შემდგომში ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი მისი უფროსი ლევან ჯღარკავა სახით და მეორეს მხრივ შპს „მაგი“ სახით, წარმოდგენილი მისი დირექტორის ლელა ელბაქიძის სახელმწიფო შესყიდვების კანონის და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე (SPA220002074) ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7. „ტექნიკური დავალება“ – **(SPA220002074)** ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, რომელიც არის ხელშეკრულების, განუყოფელი ნაწილი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საავტომობილო ბენზინის 50 (ორმოცდაათი) ერთეულ ნიმუშში ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული ხარისხობრივი ნორმების განსაზღვრისთვის ლაბორატორიული კვლევის ჩატარების (CPV–73111000;) შესყიდვა (შემდგომში „მომსახურება“) დანართი №1-ის და დანართი №2-ის შესაბამისად.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 მთლიანი სახელშეკრულებო თანხა მიმწოდებლისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადის გათვალისწინებით შეადგენს 39500.00 (ოცდაცხრამეტი ათას ხუთასი ლარი 00 თეთრი) ლარს დღგ-ს გათვალისწინებთ.

3.2 ფასების ცხრილი მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების ფასების ცხრილი დანართი №2-ის მიხედვით.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

4.2 ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება ხელმოწერილი მიღება- ჩაბარების აქტისა და შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაციის მიმწოდებლის მიერ წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4.3 მიღება-ჩაბარების აქტში ნაჩვენები უნდა იყოს მიწოდებული მომსახურების ღირებულება და რაოდენობა.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურება ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველს წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების მე-8 მუხლით განსაზღვრული ინსპექტირების ჯგუფის დასკვნა.

5.3. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის გარემოს ინტეგრირებული კონტროლის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.

6. მომსახურების განხორციელების ვადები, ადგილი და საგარანტიო პირობები

6.1 ნიმუშების მიწოდება განხორციელდება ერთიანად ან ეტაპობრივად. მომსახურები გაწევა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, შემსყიდველის მიერ ნიმუშების ერთობლივი ან ეტაპობრივი გადაცემიდან 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6.2 საგამოცდო ლაბორატორიამ ნიმუშების გადაცემიდან 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის განმავლობაში უნდა უზრუნველყოს შესაბამისი კვლევის ჩატარება და შემსყიდვლისათვის გამოცდის ოქმის - კვლევის შედეგების წერილობით შემსყიდვლისათვის (არსებობის შემთხვევაში ოქმის თანდართულ მასალებთან ერთად - გრაფიკები, გაზომვები, ცხრილები, ნახაზები და სხვა) გადაცემა;

6.3 მომსახურება უნდა განხორციელდეს მიმწოდებლის მისამართზე ლაბორატორიაში: ქ.თბილისი, დ.უზნაძის ქ.#25.

ა)ნიმუშების მიწოდება უნდა განხორციელდეს საქართველოს ტერიტორიაზე მიმწოდებლის მიერ მითითებულ მისამართზე.
ბ)კვლების შედეგების მოწოდება უნდა განხორციელდეს ქ. თბილისი, გ. გულუას №6, მე-6 სართული.
6.4 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ განხორციელებული მომსახურება იქნება ხარისხიანი და შეესაბამება ხელშეკრულების და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა) მომსახურების მიწოდების დროს განახორციელოს მომსახურების ხარისხისა და სხვა პირობების სატენდერო დოკუმენტაციასთან და წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის ინსპექტირება;
ბ) მიმწოდებლის ქმედებით ამ ხელშეკრულების მე-9 მუხლის შედეგების დადგომისას მიწოდებული მომსახურების ღირებულება გადაიხადოს მიმწოდებლის მიერ პირგასამტეხლოსა და ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტებისა და მე-4 მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარდგენიდან „10 " კალენდარული დღის შემდეგ.
7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს მაღალი ხარისხის მომსახურების მიწოდება.
ბ) დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულების პირობები.
გ) აუნაზღაუროს შემსყიდველს მისი ბრალეულობით გამოწვეული ნებისმიერი სახის მატერიალური და არამატერიალური ზარალი.

8. ხელშეკრულების შესრულების ინსპექტირება

8.1შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებლის მიერ მომსახურების განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე, განახორციელოს ინსპექტირება. ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს დეპარტამენტის გარემოს ინტეგრირებული კონტროლის სამსახურის ექსპრეს ლაბორატორიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი და მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - ინსპექტორი.
8.2 ინსპექტირების ჯგუფის ფუნქციებია:
8.2.1 გაუწიოს კონტროლი მომსახურეობის განხორციელების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას.
8.2.2 დაადგინოს შეესაბამება, თუ არა განხორციელებული მომსახურება ხელშეკრულების მოთხოვნებს.
8.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.
8.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულებისღირებულების 0,02%-ის ოდენობით.
9.2 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების გაწევის ვადას გადააცილებს 10 (ათი) კალენდარული დღით, შემსყიდველი ვადაგადაცილებულ დღეებზე დაკისრებული პირგასამტეხლოსთან ერთად დააკისრებს მიმწოდებელს პირგასამტეხლოს ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 10 (ათი) პროცენტის ოდენობით და იტოვებს უფლებამოსილებას შეწყვიტოს ხელშეკრულება
9.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის.
10.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
10.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 10.3 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ.
10.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს შემსყიდველის ინიციატივით.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ფორს-მაჟორი

12.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.

12.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

13. ხელშეკრულების პირობების და ღირებულების გადასინჯვა

13.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა არ დაიშვება, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს "შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

14. ხელშეკრულების ენა

14.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის, ფორმდება ქართულ ენაზე.

15. სხვა პირობები

15.1 მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება ქართულ ენაზე, ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ელექტრონულად/ელექტრონული შტამპით რომლის ყოველი ელექტრონული ეგზემპლარი ორიგინალია.

16. შესყიდვის ობიექტის სტანდარტები

16.1 ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურება უნდა აკმაყოფილებდეს სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს და იყოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის „31" „იანვრის" ჩათვლით.

18. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება	შპს „მაგი"
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი	
მის: ქ. თბილისი, გ. გულუას ქ. #6	მის: ქ.თბილისი, დ.უზნაძის ქ.#25
საიდენტიფიკაციო კოდი: 206351758.	საიდენტიფიკაციო კოდი: 202906098;
ტელ: 591 22 42 24	საბანკო რეკვიზიტები: სს ,,საქართველოს ბანკი"
საბანკო რეკვიზიტები: ცენტრალური ხაზინა,	ტელ : +9952956004;
სახაზინო კოდი 3701	ბანკის კოდი: BAGAGE22;
	ა/ა GE13BG0000000181991200;
---	---
ლევან ჯღარაკვა	**ლელა ელბაქიძე**
დეპარტამენტის უფროსი	**დირექტორი**

Lela Elbakidze

Digitally signed by Lela Elbakidze
Date: 2022.09.09 16:43:00 +04'00'

ტექნიკური დავალება დანართი N1

შპს „მაგი“-ს საგამოცდო ლაბორატორია უზრუნველყოფს საავტომობილო ბენზინის 50 ერთეულ ნიმუშზე ლაბორატორიული კვლევის ჩატარებას შემდეგი ხარისხობრივი ნორმების განსაზღვრისათვის:

1. ოქტანური რიცხვი - კვლევითი მეთოდით;
2. ტყვიის შემცველობა;
3. გოგირდის შემცველობა;
4. ნაჯერი ორთქლის წნევა ზაფხულის პერიოდში (ზაფხულის პერიოდი: 01 მაისიდან 01 ოქტომბრამდე)

გამოხდა:

5. 100°C-ზე ორთქლდება მოცულობითი წილი;
6. 150°C-ზე ორთქლდება მოცულობითი წილი;

ლაბორატორიული კვლევისათვის წარდგენილი ნიმუშების გამოცდა ჩატარედება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, კერძოდ: ბენზინის ხარისხის ანალიზისთვის გამოყენებული იქნება ასტმ (ASTM), გოსტ (Гост) და ისო (ISO) მეთოდები (ოქტანური რიცხვი კვლევითი მეთოდით - ასტმ დ2699; გოგირდის შემცველობა - ასტმ დ4294; ტყვიის შემცველობა - გოსტ 28828; გამოხდა - ასტმ დ86; ნაჯერი ორთქლის წნევა - ისო 3007).

ლაბორატორიული გამოცდის მიზნით ბენზინის საწვავის სინჯები ლაბორატორიას გადაეცემა შემსყიდველის შესაბამისი უფლებამოსილი პირისაგან დალუქული, დეპარტამენტის წერილობითი მიმართვის საფუძველზე.

საგამოცდო ლაბორატორია ნიმუშების მიღებიდან 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის განმავლობაში, უზრუნველყოფს შესაბამისი კვლევის ჩატარებას და დამკვეთისათვის გამოცდის ოქმის - კვლევის შედეგების წერილობით (არსებობის შემთხვევაში ოქმის თანდართულ მასალებთან ერთად - გრაფიკები, გაზომვები, ცხრილები, ნახაზები და სხვა) გადაცემას.

საჭიროების შემთხვევაში მიმწოდებელი უზრუნველყოფს დეპარტამენტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ან ნიმუშის/სინჯის ამღები უფლებამოსილი თანამშრომლის დაუყოვნებელი ინფორმირებას (ელექტრონული ფოსტა ან/და სატელეფონო შეტყობინება) ნიმუშის/სინჯის გამოცდის შედეგების შესახებ.

საგამოცდო ლაბორატორია უზრუნველყოფს აკრედიტაციის პასპორტის შესაბამისი ფორმის მიხედვით ჩატარებული ტექნიკური ოპერაციის, თითოეული გამოცდა-ანალიზის, საანალიზო ნიმუშების გამოცდის ოქმების (არსებობის შემთხვევაში ოქმის თანდართულ მასალებთან ერთად - გრაფიკები, გაზომვები, ცხრილები, ნახაზები და სხვა) შენახვას და დაცვას პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ არანაკლებ გამოცდის ოქმის შედგენიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში და მათ წარმოდგენას მოთხოვნის შემთხვევაში.

ლაბორატორიული კვლევისათვის გამოყენებული ბენზინის საწვავის სინჯის რაოდენობა უნდა იყოს არანაკლებ 2 ლიტრი.

შემსყიდველი:
სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
მის: ქ. თბილისი, გ. გულუას ქ. #6
საიდენტიფიკაციო კოდი: 206351758.
ტელ: 591 22 42 24
საბანკო რეკვიზიტები: ცენტრალური ხაზინა,
სახაზინო კოდი 3701

მიმწოდებელი:
შპს „მაგი“

მის: ქ.თბილისი, დ.უზნაძის ქ.#25
საიდენტიფიკაციო კოდი: 202906098;
საბანკო რეკვიზიტები: სს ,,საქართველოს ბანკი"
ტელ : +9952956004;
ბანკის კოდი: BAGAGE22;
ა/ა GE13BG0000000181991200;

ლევან ჯღარაკვა
დეპარტამენტის უფროსი

ლელა ელბაქიძე
დირექტორი

ფასების ცხრილი დანართი N2					
No	საავტომობილო ბენზინის ნიმუშის ლაბორატორიული კვლევა;	მეთოდი	რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ ფასი
1	ოქტანური რიცხვი	ასტმ დ 2699	50	200	10000
2	ტყვიის შემცველობა	გოსტ 28828	50	150	7500
3	გოგირდის შემცველობა	ასტმ დ 4294	50	150	7500
4	ნაჯერი ორთქლის წნევა ზაფხულის პერიოდში	ისო 3007	50	150	7500
				ჯამი	32500
4	100 °C-ზე აორთქლებულის მოცულობითი წილი	ასტმ დ 86	50	70	3500
5	150 °C-ზე აორთქლებულის მოცულობითი წილი	ასტმ დ 86	50	70	3500
				ჯამი	7000
				სულ ჯამი დღგ-ს ჩათვლით	39500

შემსყიდველი:
სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
მის: ქ. თბილისი, გ. გულუას ქ. #6
საიდენტიფიკაციო კოდი: 206351758.
ტელ: 591 22 42 24
საბანკო რეკვიზიტები: ცენტრალური ხაზინა,
სახაზინო კოდი 3701

მიმწოდებელი:
შპს „მაგი“

მის: ქ.თბილისი, დ.უზნაძის ქ.#25
საიდენტიფიკაციო კოდი: 202906098;
საბანკო რეკვიზიტები: სს ,,საქართველოს ბანკი"
ტელ : +9952956004;
ბანკის კოდი: BAGAGE22;
ა/ა GE13BG0000000181991200;

ლევან ჯღარაკვა
დეპარტამენტის უფროსი

ლელა ელბაქიძე
დირექტორი

მე, შემსყიდველის მხრიდან ხელისმომწერი, ”სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” კანონის მე-8 მუხლით (ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები) დადგენილ წესების შესაბამისად არ ვიმყოფები ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.